



გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

03.04.2020 წ.

ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - თამარ ბურჯანაძე
სხდომის მდივანი - ქეთევან ჭელიძე

მოსარჩელე - სსიპ „შ-----“
წარმომადგენელი - ს-----

მოპასუხე - დ-----
წარმომადგენელი - თ-----

დავის საგანი - თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. დ----- (პ/ნ 0-----) დაეკისროს 509 688.8 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: შპს „მ-----“ (ს/ნ 4-----) რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში 2013 წლის 12 ივლისს, დირექტორი და 100% - იანი წილის მფლობელი დ-----.

საწარმოს 2019 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით უფიქსირდება აღიარებული საგადასახადო დავალიანება 509 688.8 ლარის ოდენობით.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების მიზნით, შპს „მ-----“-ს ქონებაზე 2018 წლის 24 აპრილის N002 – 64-- შეტყობინებით რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება, რომელსაც გადასახადის გადამხდელი ელექტრონულად გაეცნო 2018 წლის 26 აპრილს.

შპს „მ-----“-ის საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2018 წლის 23 მარტის N6--- ბრძანების საფუძველზე სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგად, რითაც გამოვლინდა 1 139 235 ლარის საბაზრო ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი, რის გამოც პირი დაჯარიმდა ზემოაღნიშნული ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.

საწარმომ 2018 წლის 20 აპრილის საგადასახდო სამართალდარღვევის ოქმის სერია N C----- შედგენის შემდგომ მომდევნო თვის 15 რიცხვში წარმოადგინა დღგ-ს და მოგების დეკლარაცია, რის საფუძველზეც დაერიცხა საგადასახდო დავალიანება 492 622 ლარი, რომლის ბიუჯეტში გადახდა დღემდე არ მომხდარა, ხოლო შ-----ს ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით იმავე წლის აპრილის თვიდან შეაჩერა სამეწარმეო საქმიანობა.

შპს „მ-----“-ს სამეწარმეო საქმიანობის დაწყების შემდგომ 2013 წლის 12 ივლისიდან საქმიანობის შეჩერებამდე, გამოწერილი საგადასახდო ანგარიშ-ფაქტურების თანახმად, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულმა თანხამ შეადგინა 4 179 841 ლარი, ხოლო სამეწარმეო საქმიანობის პერიოდში საკონტროლო სალარო აპარატის მონაცემების თანახმად 2017 წლის იანვრიდან სამეწარმეო საქმიანობის შეჩერებამდე საწარმოს ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული აქვს 780 047 ლარი, მაშინ როდესაც დავალიანების წარმოშობის შემდგომ ბიუჯეტში დავალიანების დასაფარავად გადახდილი აქვს მხოლოდ 7 809 ლარი.

საწარმოს 2017 წლის 5 თებერვლიდან 2018 წლის 16 აპრილის ჩათვლით წარმოდგენილი აქვს ნულოვანი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია, საიდანაც ირკვევა, რომ საწარმოდან ამ პერიოდში თანხის გატანას ადგილი არ ჰქონია, როგორც უკვე ითქვა, საკონტროლო სალარო აპარატის მონაცემების თანახმად საწარმომ 2017 წლის განმავლობაში ნაღდი ანგარიშსწორებით მოახდინა 780 047 ლარის ღირებულების საქონლის რეალიზაცია, ხოლო ჩატარებული ინვენტარიზაციით დადგინდა, რომ საწარმოს გააჩნდა მხოლოდ 6 277 ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

აღნიშნულმა მოქმედებებმა კომპანია მიიყვანა გადახდისუუნარობამდე, რის გამოც, კომპანიის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ხოლო შპს „მ-----“-ს უძრავ - მოძრავი ქონება არ უფიქსირდება.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე მხარემ წარმოდგენილი შესაგებლითა და სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით სარჩელი არ ცნო.

წარმოდგენილ პასუხში მხარემ მიუთითა, რომ შპს „მ-----“-ს ნამდვილად დაერიცხა დავალიანება, რომელიც ფინანსური სახსრების არქონის გამო ვერ გადაიხდა და, შესაბამისად, კომპანიამ ველარ განაგრძო საქმიანობა.

მოპასუხე განმარტავს, რომ დ-----ს მიერ კეთილსინდისიერად ხდებოდა კომპანიის მართვა და მისი საქმიანობის შეჩერება გამოიწვია დარცხულმა დავალიანებამ. შპს „მ-----“-ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა საქონლის იმპორტი და მისი რეალიზაცია, რაც მოითხოვს შესაბამის ფინანსურ სახსრებს (იხ. შესაგებელი ტ. I. ს.ფ.147-157).

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. დადგენილია, რომ შპს „მ-----“ (ს/ნ 4-----) რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში 2013 წლის 12 ივლისს, რომლის დირექტორს და 100% - იანი წილის მფლობელ პირს დ----- წარმოადგენს.

სასამართლო უყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ.100-101).

3.1.2. საწარმოს 2019 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით უფიქსირდება აღიარებული საგადასახადო დავალიანება 509 688.8 ლარის ოდენობით.

სასამართლო უყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, სერია NC----- (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 54);
- შედარების აქტი; (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 92);
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.3. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების მიზნით, შპს „მ-----“-ს ქონებაზე 2018 წლის 24 აპრილის N002 – 64-- შეტყობინებით რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება, რომელსაც გადასახადის გადამხდელი ელექტრონულად გაეცნო 2018 წლის 26 აპრილს.

სასამართლო უყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2018 წლის 24 აპრილის N002 – 64-- შეტყობინება (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 42).

3.1.4. შპს „მ-----“-ის საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2018 წლის 23 მარტის N6--- ბრძანების საფუძველზე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგად, რითაც გამოვლინდა 1 139 235 ლარის საბაზრო ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი, რის გამოც პირი დაჯარიმდა ზემოაღნიშნული ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.

სასამართლო უყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, სერია NC----- (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ.

54);

- 2018 წლის 20 აპრილის ოქმი (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 59).

3.1.5. საწარმომ 2018 წლის 20 აპრილის საგადასახდო სამართალდარღვევის ოქმის სერია N C----- შედგენის შემდგომ მომდევნო თვის 15 რიცხვში წარმოადგინა დღგ-ს და მოგების დეკლარაცია, რის საფუძველზეც დაერიცხა საგადასახდო დავალიანება 492 622 ლარი, რომლის ბიუჯეტში გადახდა დღემდე არ მომხდარა, ხოლო შ-----ს ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით იმავე წლის აპრილის თვიდან შეაჩერა სამეწარმეო საქმიანობა.

სასამართლო უყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- საგადასახდო სამართალდარღვევის ოქმი, სერია NC----- (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 54);

- 2018 წლის 20 აპრილის ოქმი (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 59);

- შედარების აქტი; (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 92);

- შ-----ს ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემები (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 93);

- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.6. საწარმოს 2017 წლის 5 თებერვლიდან 2018 წლის 16 აპრილის ჩათვლით წარმოდგენილი აქვს ნულოვანი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია, საიდანაც ირკვევა, რომ საწარმოდან ამ პერიოდში თანხის გატანას ადგილი არ ჰქონია, როგორც უკვე ითქვა, საკონტროლო სალარო აპარატის მონაცემების თანახმად საწარმომ 2017 წლის განმავლობაში ნაღდი ანგარიშწორებით მოახდინა 780 047 ლარის ღირებულების საქონლის რეალიზაცია, ხოლო ჩატარებული ინვენტარიზაციით დადგინდა, რომ საწარმოს გააჩნდა მხოლოდ 6 277 ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

სასამართლო უყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- დეკლარაციები (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 49-53, 60-91);

3.1.7. შპს „მ-----“ -ს მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

სასამართლო უყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ოქტომბრის განჩინება (იხ. საქმე, ტ. I. ს.ფ. 94-91);

3.2. სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია, მათ შორის არც თანხის ოდენობა, იგი სარჩელში მითითებულ გარემოებებს ეთანხმება. თუმცა, მოპასუხის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ არ არსებობს დ-----ს, როგორც დირექტორის ან/და

პარტნიორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები, რასთან დაკავშირებითაც სასამართლოს სამართლებრივი შეფასება მოცემულია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

ერთადერთი, რაც მხარეებმა სადავოდ გადახადეს შპს „მ-----“ -ის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების ბრალეულობას ეხება. მოპასუხე მხარე წარმოდგენილი შესაგებლითა და სასამართლოზე მიცემული ახსნა - განმარტების შედეგად, არ ეთანხმება, რომ დ-----ს ქმედებებმა გამოიწვია კომპანიის გადახდისუუნარობამდე მიყვანა (იხ. სარჩელის მე-7 ფაქტობრივი გარემოება). მოპასუხის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გადახდისუუნარობის საკითხის დაყენება გამოიწვია არა დ-----ს ქმედებამ, არამედ კომპანიის რთულმა ფინანსურმა მდგომარეობამ, რომელიც შეიქმნა საგადასახადო დავალიანების დარიცხვით.

სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან მოცემული დავის საგანს თანხის დაკისრება წარმოადგენს. შესაბამისად, დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია დადგინდეს არსებობს თუ არა დ-----ს პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების თანახმად.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სარჩელის განხილვის, ახსნა-განმარტებების მოსმენის, მხარეთა წარმომადგენლების სამართლებრივი პოზიციების გაანალიზებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ „მ-----ს“ სარჩელი დ-----ს მიმართ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა არსებობის გამო.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

სამოქალაქო კოდექსის მე-8, 24-ე მუხლები
სამოქალაქო სარპოცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლები.
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6 და 44-ე მუხლები.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს.

დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის ელემენტი მიუთითებს, ა)

ზოგადად, წარმონაქმნის პასუხისმგებლობა - უნარიანობასა და ასევე, ბ) ასეთი პასუხისმგებლობის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობაზე - წარმონაქმნის მონაწილეთა ჩართვის გარეშე. ეს ნიშანი გამომდინარეობს საკუთარი ქონების ელემენტისაგან (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017 წ.).

იურიდიული პირი აღჭურვილია პასუხისმგებლობის უნარით, რაკი მას სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივ მოთამაშედ წარმოვიდგენთ. პასუხისმგებლობა - უნარიანობა ქმედუნარიანობის ერთ - ერთი ასპექტია. სამართლის სუბიექტის ნებელობითმა ქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს, მისივე, უკვე არა ნებელობითი, არამედ სავალდებულო საპასუხო ქმედება - პასუხისმგებლობა. ამდენად, წარმონაქმნის ქმედუნარიანობა მოიცავს მის პასუხისმგებლობა - უნარიანობასაც, რომელზე მითითებასაც სწორედ დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის ელემენტი შეიცავს. აღნიშნული აგრეთვე გულისხმობს პასუხისმგებლობის განხორციელებას სხვათაგან „დაუხმარებლად“, დამოუკიდებლად. ძირითადად, ასეთი პასუხისმგებლობითი „თავისუფლება“ დაკავშირებულია იურიდიული პირის მონაწილეებთან - პარტნიორებთან; ე.ი. პასუხისმგებლობის საფუძვლის წარმოშობისას კრედიტორის სასარგებლოდ პასუხს აგებს თავად იურიდიული პირი და არა მისი წევრი (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017 წ.).

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები, მით უფრო დირექტორი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ.

6.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 8.1. მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოს თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

პირველი, 8.1. მუხლი განსაზღვრავს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების წრეს, ხოლო 8.3. მუხლი, კი განსაზღვრავს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ქცევის მასშტაბს - კეთილსინდისიერების ვალდებულება (კეთილსინდისიერების პრინციპი).

სამოქალაქო კოდექსის 8.3. მუხლი მონაწილეებს აკისრებს უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებას. მართალია, კეთილსინდისიერება ურთიერთობის მონაწილეთა ზნეობრივ

მოვალეობადაც მიიჩნევა, მაგრამ 8.3. მუხლი სხვა მუხლებთან კავშირში შეიძლება მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლადაც განვიხილოთ. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. ლიტერატურა იზიარებს ასეთ მიდგომას და აღიარებს, რომ სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია კეთილსინდისიერების პრინციპის უნივერსალურობა. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რითაც მიღწეულ უნდა იქნეს სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობა და სიმყარე (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017 წ.).

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. უფლება - მოვალეობა კეთილსინდისიერად განხორციელებულად ითვლება იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დადასტურდება, შესაბამისად, არსებობს კეთილსინდისიერი ქცევის პრეზუმფიცია. ეს პრეზუმფიცია გაქარწყლებადია მხოლოდ არაკეთილსინდისიერი ქცევის სარწმუნოდ დადასტურების პირობებში (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წ.).

6.3. მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულია და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. სუსგ ას-1158-1104-2014).

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6. მუხლის თანახმად, დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი სალად მოაზროვნე პირი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორი) მოვალეობები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) გულმოდგინება, ბ) ერთგულება და გ) კეთილსინდისიერება. გულმოდგინების მოვალეობა გულისხმობს, დირექტორის მიერ ისეთი

გადაწყვეტილებების მიღებას, რომელსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივ სალად მოაზროვნე პირი. ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. კეთილსინდისიერება კულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. დირექტორს გონივრულად უნდა სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ფიდუციური მოვალეობის საფუძველი, კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტია (იხ. სუსგ ას-687-658-2016).

ამდენად, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დავის სწორად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია დადგინდეს დარღვეული იქნა თუ არა დირექტორის მხრიდან გულმოდგინების, ერთგულებისა და კეთილსინდისიერების კომპონენტებიდან რომელიმე.

აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის თანხის დაკისრების არამართლობიერება განპირობებულია საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებული პრეზუმფციით, რომელიც კომპანიის დირექტორს იცავს არაპროპორციული პასუხისმგებლობისგან.

აღნიშნული პრეზუმფცია პრაქტიკაში განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში (იხ. სუსგ ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი, ას-1307-1245-2014 06 მაისი 2015 წელი), რომელშიც ერთ-ერთი სადავო საკითხი იყო კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობა. საკასაციო პალატის განმარტებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვათაშორის ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის („ზრუნვის მოვალეობა“). საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზრუნვის მოვალეობა საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეული იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს

ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელი და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

საგულისხმოა, რომ წინამდებარე დავაში მოსარჩელის პრეტენზია, რომელიც თანხის დაკისრებას შეეხება, ვერ აქარწყლებს მატერიალურ სამართალში მოქმედ პრეზუმფციას, რომელიც ერთგვარად, შესაძლებელია ხელმძღვანელ პირთა დაცვის საშუალებად იქნეს განხილული. ზრუნვის მოვალეობა, კანონის პირდაპირი განმარტების თანახმად, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს და როგორც უკვე ითქვა, მოვალეობა კეთილსინდისიერად განხორციელებულად ითვლება იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დადასტურდება, შესაბამისად, არსებობს კეთილსინდისიერი ქცევის პრეზუმფცია. ეს პრეზუმფცია გაქარწყლებადა მხოლოდ არაკეთილსინდისიერი ქცევის სარწმუნოდ დადასტურების პირობებში.

საკორპორაციო სამართალი აწესრიგებს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს, ხელმძღვანელობის მოვალეობები, რომლის საფუძველზე მენეჯმენტი ვალდებულია იმოქმედოს კორპორაციის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია განვიხილოთ დირექტორის ხელმძღვანელობის მოვალეობები საქართველოს საკორპორაციო სამართალში და ამ მოვალეობებზე აშშ-ს, განსაკუთრებით დელავერის საკორპორაციო სამართლის კონტექსტის ჭრილში.

როგორც ცნობილია, CEDE - Technicolor-ის საქმის განმხილველმა დელავერის უმაღლესმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ხელმძღვანელობის სამი მოვალეობა: გულმოდგინების მოვალეობა (იმოქმედოს ისე, როგორც იმოქმედებდა მის ადგილას მყოფი ჩვეულებრივი სალად მოაზროვნე პირი), ერთგულების მოვალეობა (მოქმედებდეს კორპორაციის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად) და კეთილსინდისიერების პრინციპი *cede & co. v. Technicolor, Inc. Del. supr., 634 A. 2d 345, 361 (1993)*.

ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია, რომლის მიღმა იგულისხმება, რომ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში

საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან (იხ. სუსგ ას-687-658-2016).

დირექტორის პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე შესაძლოა დადგეს "თაღლითური" ან უკანონო (უსამართლო) დამოკიდებულების შემთხვევაში. *Winkworth v. Baron Development Ltd.* საქმის განხილვისას ლორდ ტემპლემანის მიერ განმარტებული იქნა, თუ რა სახის მოვალეობა გააჩნია დირექტორს კრედიტორთა მიმართ: „კომპანიას გააჩნია ვალდებულებანი მისი არსებული და მომავალი კრედიტორების მიმართ. კომპანია არ არის ვალდებული გადაიხადოს ყველა ვალი მაშინვე, როგორც კი ის წარმოიშობა. იგი ასევე არ არის ვალდებული თავი აარიდოს ნებისმიერ ისეთ საქმიანობას, რომელიც რისკებს შეიცავს, მაგრამ აღნიშნული საპირისპიროდ, კომპანიას გააჩნია ვალდებულება შეინარჩუნოს აქტივი, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს ვალდებულებათა დასაფარად”.

კორპორაციული მართვის პრინციპებში მოცემული დეფინიციის თანახმად, რომელსაც გულმოდგინების მოვალეობის კლასიკურ დეფინიციად მიიჩნევენ, დირექტორს ან მენეჯერს კორპორაციის წინაშე აკისრია მოვალეობა, რომ დირექტორის ან მენეჯერის ფუნქციები განახორციელოს კეთილსინდისიერად, იმგვარად, რომ მას გონივრულად სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ისეთი გულმოდგინებით, როგორსაც გონივრულად მოელიან ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი წინდახედული პირისაგან. მთლიანობაში, როგორც ამერიკულ ლიტერატურაშია აღნიშნული, საკითხი იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა დირექტორის ქმედება გულმოდგინების მოვალეობას, ფაქტის საკითხია და უნდა გადაწყდეს კონკრეტული შემთხვევების შეფასების საფუძველზე (იხ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, ლ. ჭანტურია 2006 წ.). (შენიშვნა: სახელმძღვანელოში გულმოდგინება განიხილება როგორც ზრუნვის მოვალეობა).

სამეწარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას პასუხისმგებლობის საკითხების მომწესრიგებელ წესებს, ამერიკულ სამართალში Business Judgment Rule ეწოდება, რომლის თანახმად დაუშვებლად არის მიჩნეული დირექტორთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმის გამო, რომ მათ კომერციული წარუმატებლობა განიცადეს. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ დირექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რაც ისეთმა შეცდომამ გამოიწვია, რომელიც ნებისმიერ გულმოდგინე დირექტორსაც კი შეიძლებოდა მოსვლოდა. პასუხისმგებლობა მხოლოდ ისეთი უხეში შეცდომისთვის უნდა დადგეს, რომელიც ჯანსაღი გონებისა და ჩვეულებრივი გულმოდგინების ადამიანს არ უნდა მოსვლოდა. სამეწარმეო წარუმატებლობა არ იწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას (იხ. კორპორაციული მართვა და

ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, ლ. ჭანტურია 2006 წ.).

ამდენად, საკორპორაციო სამართალში მოქმედებს Business Judgment Rule პრინციპი, რომელიც მოიცავს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე მიუთითა სასამართლომ, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია იმის დადგენას, კომპანიის გადახდისუუნარობამდე მიყვანა დირექტორის ქმედებამ გამოიწვია თუ სხვა გარეშე ფაქტორებმა, ვინაიდან, თუნდაც წარუმატებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში ხელმძღვანელ პირს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

6.4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეულის სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ამდენად, ის პროცესუალური შედეგი, რომელსაც მხარეები იღებენ, დიდწილად მათივე წარდგენილი სარჩელისა და შესაგებლის კვალიფიციურობაზე, ფორმალურ გამართულობასა და დასაბუთებულობაზე არის დამოკიდებული. სწორედ მოსარჩელეა პირი, რომელიც, სრულყოფილი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის გზით, ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივას.

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს. საგულისხმოა ისიც, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უწინარეს საფუძველს იმის სწორად განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განმხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. ამ ასპექტში, ფორმალურსამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წინამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წინამძღვრებს (იხ. კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტ. I, ქეთევან მესხიშვილი, 2020 წ.).

მოსარჩელე მხარის პოზიციით, მას არ ევალება ფაქტის მტკიცება იმის შესახებ, რომ მოპასუხემ თავი აარიდა გადასახადების გადახდას და კომპანიის თანხები პირადი მიზნებისთვის გამოიყენა. შ-----ს წარმომადგენელმა დაინმარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს ევალება მხოლოდ ზიანის ფაქტის თაობაზე მითითება, ხოლო მოპასუხე მხარეს კი იმის მტკიცება, რომ მას არ დაურღვევია მასზე დაკისრებული (ფიდუციური) მოვალეობები.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლო, ერთ-ერთი საქმის განხილვისას მართლაც შეეხო სპეციალური მტკიცების სტანდარტს, და განმარტა, რომ მოსარჩელეს მხოლოდ ზიანის ფაქტის დადსტურება ევალებოდა, ხოლო ხელმძღვანელ პირზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების მტკიცების ტვირთი მთლიანად მოპასუხეს გადააკისრა. თუმცა, საგულისხმოა, რომ დასახელებული საქმე, საზოგადოებისათვის ზიანის ანაზღაურების სარჩელს შეეხებოდა, ანუ დაპირისპირებულ მხარეებს დირექტორი და პარტნიორი წარმომადგენდნენ.

მაგალითად, ერთ-ერთი საქმის (იხ. სუსგ ას-687-658-2016) განხილვისას საკასაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი სხვაგვარად გაანაწილა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი განიხილებოდა (ე.წ. დერივაციული სარჩელი) სასამართლომ, მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მხარეს დააკისრა და განმარტა, რომ თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სამეწარმეო განსჯის წესს“ ანუ, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საწარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით, შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია.

ზიანის ანაზღაურების შესახებ დავას, მტკიცებულებათა შეფასებისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის თვალსაზრისით, ჯერჯერობით საკასაციო პალატა არაერთგვაროვნად უდგება (იხ. საქართველოს უზენაესი

სასამართლოს გამოცემა, ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, 2017 წ.).

მტკიცების ტვირთის განაწილება მართლმსაჯულების განხორციელების მეტად მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც კონსტიტუციურ - სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარეობს (საქართველოს კონსტიტუციის 62.5. მუხლი). მხარეს არ შეიძლება დაეკისროს იმის მტკიცება რაც მის ძალებს აღემატება. ამგვარად, სამართლიანი ბალანსი გულისხმობს, რომ მხარეებს შორის თანაბრად გადანაწილდეს მტკიცების ტვირთი. ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ე.წ. „დერივაციული სარჩელის“ წარდგენისას მტკიცების ტვირთი ხელმძღვანელი პირების მიმართ ტრიალდება, იმ მიზეზით, რომ ფინანსური თუ სხვა სახის დოკუმენტაცია და ინფორმაცია თავმოყრილია ხელმძღვანელ პირებთან, ამიტომ უსამართლო იქნებოდა საზოგადოების პარტნიორს დაეკისროს იმ ფაქტების მტკიცება რის შესახებაც მას ხელი არ მიუწვდება (შდრე. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, ლ. ჭანტურია 2006 წ.).

თუმცა, საკითხი სხვაგვარად დგას, როდესაც საქმის ერთ - ერთ მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს და მხარეს გადასახებისაგან თავის არიდებას ედავება. მოცემული დავის ფარგლებში, სადაც, როგორც მხარე სახელმწიფო მონაწილეობს, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადაუხდელობის ფაქტზე მითითება ევალება და დადგენილი პრაქტიკით, გათავისუფლებულია მტკიცების ტვირთისაგან. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს მატერიალურ სამართლებრივი ნორმები აწესრიგებს. კონკრეტულ შემთხვევაში, რომ არ განვიხილოთ ე.წ. ძლიერი და სუსტი მხარის თეორია (სახელმწიფო ფიზიკური პირის წინააღმდეგ), ამავ დროულად, საგადასახადო კოდექსის გარკვეული მუხლები სწორედ სახელმწიფოს ავალდებულებს ჩაატარონ საგადასახადო შემოწმებები და მათი დროულად გადახდა, გააკონტროლონ გადასახადების გამოანგარიშების სისწორე/სისრულე და ა.შ. საგადასახადო ორგანო ადგენს შემოწმების აქტს, სადაც მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, მტკიცებულება და არგუმენტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას (საგადასახადო კოდექსის 51-ე და 262-ე მუხლი). როდესაც განსახილველი მოვლენები მთლიანად ან მეტწილად არის კომპეტენტური ორგანოების ექსკლუზიური ცოდნის ფარგლებში მოქცეული და, როგორც ამას ადგილი აქვს მოცემულ შემთხვევაში, საუბარია გადასახადებისაგან თავის არიდების საკითხზე, წარმოიქმნება ფაქტის მტკიცების ძლიერი პრეზუმფცია. ასეთ დროს, მოსარჩელე (საგადასახადო ორგანო) იძულებულია მინიმუმ რამდენიმე მყარი, უნაკლო, საკმარისად მტკიცე, აშკარა და თანხვედრი მტკიცებულება წარმოადგინოს, ისეთი პირდაპირი როგორიც შესაძლოა რომ იყოს მტკიცებულება.

უნდა ითქვას, რომ ისეთი სახის დავებში, რომელიც კორპორაციულ მართვას უკავშირდება, მტკიცების ტვირთის სტანდარტის წინასწარ განსაზღვრა და შემდგომ დადგენილი სტანდარტის დანარჩენ დავებში გავრცელება სირთულესთან არის დაკავშირებული. სასამართლო მიიჩნევს, რომ საკორპორაციო სამართლებრივ დავებში სამართლიანი ბალანსის დასაცავად მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს დავის საგანი, მონაწილე მხარეები, საქმეში არსებული გარემოებები და ა.შ. სასამართლო, მოცემულ საკითხს განიხილავს ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, გარემოებების გათვალისწინებით case – by – case.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ შპს „მ-----“-ის გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება 509 688.8 ლარის ოდენობით, მაგრამ დირექტორის მხრიდან ფიდუციური მოვალეობების დარღვევის ფაქტზე, ზოგადად, მოსარჩელეს, სარჩელში არც კი აქვს მითითებული. მოსარჩელემ მხოლოდ იმის შესახებ მიუთითა, რომ გამოვლინდა 1 139 235 ლარის საბაზრო ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი, რის გამოც პირი დაჯარიმდა ზემოაღნიშნული ღირებულების 10% - ის ოდენობით. მტკიცებულების სახით კი სარჩელს თან დაურთო დეკლარაციები, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, შედარების აქტი და ელექტრონული ბაზის მონაცემი, რომლის შესაბამისად, შპს „მ-----“-ის უფიქსირდება საგადასახადო დავალიანება, რომელიც მას სახელმწიფო ბიუჯეტში არ გადაუხდია. ზეპირსიტყვიერად კი განაცხადა, რომ მოპასუხე მხარემ თავი აარიდა გადასახადების გადახდას და მან პირადი მიზნებისათვის გამოიყენა თანხა. თუმცა, მოსარჩელის მიერ გაცხადებული გარემოება რაიმე სახის მტკიცებულებით არ არის გამყარებული (მაგ. საბანკო ამონაწერი, რომლის თანახმად დადგინდებოდა საზოგადოების ანგარიშიდან პირად ანგარიშზე თანხის გადარიცხვა და განკარგვა ან სხვ.) და მიიჩნევს, რომ მას აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი არ ეკისრება.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით შპს „მ-----“-ის მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

აგრეთვე, დადგენილია, რომ საწარმოს 2017 წლის 5 თებერვლიდან 2018 წლის 16 აპრილის ჩათვლით წარმოდგენილი აქვს ნულოვანი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია, საიდანაც ირკვევა, რომ საწარმოდან ამ პერიოდში თანხის გატანას ადგილი არ ჰქონია. საკონტროლო სალარო აპარატის მონაცემების თანახმად საწარმომ 2017 წლის განმავლობაში ნაღდი ანგარიშწორებით მოახდინა 780 047 ლარის ღირებულების საქონლის რეალიზაცია, ხოლო ჩატარებული ინვენტარიზაციით გაირკვა, რომ საწარმოს გააჩნდა მხოლოდ 6 277 ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მოპასუხე მხარე, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არსებობის ფაქტს არ უარყოფს, მაგრამ მიუთითებს, რომ დანაკლისის არსებობა გარკვეული ბიზნეს საქმიანობის შედეგად გამომდინარეობს, ხოლო რაც შეეხება კომპანიის თანხის პირადი მიზნებისთვის მოხმარების გარემოებას უსაფუძლოდ მიიჩნევს. მოპასუხე მხარემ დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოადგინა ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად დგინდება, რომ დ-----
-----, პირადი მიზნებისათვის გარკვეული ოდენობის თანხა აქვს აღებული სესხის სახით.

სასამართლო განმარტავს, რომ რა თქმა უნდა სესხის სახით თანხის აღების დადასტურება, თავისთავად არ გამორიცხავს კომპანიის აქტივების პირადი მიზნებით განკარგვას, თუმცა, იმ ფონზე, როდესაც მოსარჩელე მხარეს დავალიანების არსებობის გარდა სხვა ფაქტზე არც კი მიუთითებია, მოპასუხე მხარეს არ ევალება ადასტუროს საპირისპირო გარემოება და ვერც გააქარწყლებს იმ ფაქტობრივ საფუძველს, რომლის შესახებაც მოსარჩელეს არც კი აქვს მითითებული.

აქედან გამომდინარე, დირექტორის „უმართებულო“ ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების შესახებ, ფაქტობრივი გარემოებების გარეშე აღძრულ სარჩელს პერსპექტივა ვერ ექნება, საგადასახადო ორგანოს მხრიდან კომპანიისათვის დაჯარიმების ფაქტის დადასტურება ვერ განიხილება კომპანიის საზიანო ქმედებად დირექტორის მხრიდან და ვერ დაედება საფუძვლად ხელმძღვანელი პირის მატერიალური სახით ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. ხოლო სხვა ფაქტები და მტკიცებულებები კი, რომელთა ერთობლიობაში შეფასებით სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ მოპასუხემ, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელმა პირმა დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობა და მოიქცა კომპანიის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ საქმეში არ მოიპოვება (სსსკ-ის მე-3, მე-4 და 102-ე მუხლები).

განსახილველ შემთხვევაში, იმის გამო, რომ საზოგადოება გადახდისუუნარობის რეჟიმში იმყოფება და ვერ ხერხდება საკუთარი აქტივებით დააკმაყოფილოს მისი კრედიტორები, ვერ გახდება დირექტორის პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველი. სხვადასხვა სასამართლოები აღიარებენ, რომ თვით გულმოდგინე და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელებიც კი იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოგვიანებით არასწორი, მცდარი აღმოჩნდება. ნებისმიერ ბიზნეს საქმიანობას თან ახლავს სარისკო გადაწყვეტილებები, რომელთაც ხშირ შემთხვევაში კომპანიისათვის წარმატება არ მოაქვთ.

მოსარჩელემ, სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამის საფუძველზევე არ უნდა

დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არ აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები (იხ. მტკიცებულებითი სამართალი, თომას ჰერმანი).

მოვალეობის დარღვევა მხოლოდ მაშინ იწვევს პასუხისმგებლობას, თუკი ეს დარღვევა კორპორაციის ხელმძღვანელთა ბრალით მოხდა. ბრალის გარეშე ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საკორპორაციო სამართალი არ იცნობს.

ბიზნეს საქმიანობაში მოქმედებს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია, რომლის ფარგლებშიც, სწორედ მოსარჩელემ (კრედიტორმა) უნდა ამტკიცოს დირექტორის მხრიდან ფიდუციური მოვალეობის დარღვევა. თუ მოსარჩელე დირექტორის მიერ ფიდუციურ მოვალეობათა ტრიადიდან (ერთგულება, მზრუნველობა, კეთილსინდისიერება) თუნდაც, ერთ-ერთი მოვალეობის დარღვევას დაადგენს, ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე, დირექტორზე გადადის, რომელმაც მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილების მართებულობა უნდა ამტკიცოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის მიმართ სარჩელს კრედიტორი დელიქტის საფუძველზე აღძრავს, მოსარჩელემ დირექტორის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი და ამავე ზიანის ოდენობა უნდა დაადასტუროს (შდრე. სუსგ ას-1158-1104-2014).

6.5. „რაც შეეხება კორპორაციის პარტნიორის ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საკითხს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.6. მუხლის თანახმად, პარტნიორები საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, კომპანიის კრედიტორების წინაშე, კომპანიის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამეწარმეო სამართალში „კორპორაციული საფარველის გაჭოლვის“ ან სხვაგვარად „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოეშვა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ას-1158-1104-2014 და ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილებები საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლომ შექმნა ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების პირველი ქართული

პრეცედენტი.

მოცემული გადაწყვეტილებებით დადგინდა, რომ პარტნიორი საზოგადოების მიერ გადასახადების დამალვისთვის სახელმწიფოს წინაშე პირდაპირ აგებს პასუხს, თუკი 1) „საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით“ და 2) „საზოგადოების ქონება არ არის საკმარისი კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად“. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, როდესაც სახეზეა პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება, კერძოდ, როდესაც შპს-ის პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას.

ზემოხსენებული გადაწყვეტილებებით, რომელსაც ასევე მოსარჩელე მხარეც მიუთითებს მისი სამართლებრივი პოზიციის გასამყარებლად, აგრეთვე, მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისითაც. პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების შესახებ კონკრეტული ფაქტების მითითების ვალდებულება სახელმწიფოს დააკისრა. მეტიც, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილი გარემოებები საკმარისად არ მიიჩნია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის ვიწრო ინტერპრეტაციით მივიდა დასკვნამდე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილია მხოლოდ ის გარემოება, რომ შპს „მ-----“ -ის დირექტორს და 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს დ----- წარმოადგენს, რაც გულისხმობს, რომ იგი უშუალოდ ახორციელებდა კომპანიის მმართველობა/წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. მაგრამ, მხოლოდ აღნიშნული გარემოების დადასტურება ვერ ჩაითვლება საკმარისად, რომ მას დაეკისროს პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებებისათვის. საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ დავით კვიციანი ბოროტად გამოიყენა შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა და მისი, როგორც საზოგადოების პარტნიორის მოქმედებები მიმართული იყო გადასახადებისაგან თავის არიდებისკენ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციებისა და მასალების თანახმად, საზოგადოებრივი აზრი შეჯერდა, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა პარტნიორის მიერ კრედიტორის შეცდომაში განზრახ შეყვანა (იხ. [http://www. Library.court.ge/docs/141/](http://www.Library.court.ge/docs/141/)).

გამჭოლი პასუხისმგებლობის სასამართლოსეულ გამოყენებას თავისი სპეციფიკური საფუძვლები მოეთხოვება. გამჭოლი პასუხისმგებლობის დამკვიდრების მცდელობა აშშ-ის სასამართლოთა მიერ პრეცედენტული გადაწყვეტილების მიღებით დაიწყო და ყველა გადაწყვეტილება (შტატების კუთხით) განსხვავებულია და მოიცავს ორ ან რამდენიმე საფუძველს. მაგალითად, 1993 წელს სიი-ლანდ სერვისის კომპანია პეპერ სოურსის წინააღმდეგ საქმეში, ილინოისის სასამართლომ ოთხ ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც გამჭოლი პასუხისმგებლობა უნდა გამოეყენებინა. ეს ფაქტორებია: ა) კორპორაციის ოქმების, ანგარიშების არასწორი წარმოება ან კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, ბ) კორპორაციის სახსრების ან აქტივების აღრევა, გ) არასათანადო კაპიტალიზაცია და დ) ერთი კორპორაციის მიერ მეორე კორპორაციის აქტივების საკუთარ აქტივებად მიჩნევა (იხ. *Sea-land Sources, Inc. v. Pepper Sourcem* 993 f.2d 1309 (7th Cir1993)).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილია სხვადასხვა ფაქტორივ გარემოებებზე დაყრდნობით გამოვიდეს იმ მოთხოვნებიდან, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლად განსხვავებული ბაზისური ფაქტორები განსაზღვროს. ამასთან, სასამართლოს სიფრთხილე მართებს, რათა მესამე პირთა, კრედიტორთა მოთხოვნის სამიზნედ არ იქცეს ჩვეულებრივი მოქალაქეების საბანკო ანგარიშები, პირადი ინვესტიციები და ქონება.

ამდენად, ქართულ რეალობაში, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის წინაპირობებად შესაძლებელია მიჩნეული იქნეს: ა) კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა, ბ) არაადეკვატური კაპიტალიზაცია; გ) კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება, დ) აქტივების აღრევა, ე) დესტრუქციული ჩარევა, ვ) აქტივების გატანა, რაც იწვევს კომპანიის უუნარობას პასუხი აგოს კრედიტორების წინაშე და სხვ. თუმცა, ჩამოთვლილი ქმედებებიდან რომელიმეს დადგენა აპრიორი არ ნიშნავს გამჭოლი პასუხისმგებლობის დაყენებას, სასამართლო, საქმეში არსებული ყოველი კონკრეტული ფაქტორივი გარემოებების საფუძველზე იკვლევს და აფასებს პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში კი, მოსარჩელე მხარე არცერთ, ჩამოთვლილ წინაპირობაზე ან სხვა ისეთ ფაქტორივ გარემოებაზე არ მიუთითებს წარმოდგენილ სარჩელში, რომელიც გამოიწვევდა პარტნიორის პასუხისმგებლობის საფუძველს.

სასამართლო განმარტავს, რომ დირექტორების პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები განსხვავდება პარტნიორების გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლებისაგან და, ისევე როგორც ხელმძღვანელი პირზე დაკისრებული ვალდებულების დარღვევის კონკრეტულ გარემოებაზე არ არის მითითებული, წარმოდგენილი სარჩელი ასევე არ შეიცავს რაიმე სახის ფაქტებს პარტნიორის პასუხისმგებლობის ნაწილში, რაც სასარჩელო მოთხოვნის წარუმატებულობას განაპირობებს ამ კუთხითაც.

სასამართლო დაადგენს აქციონერის პასუხისმგებლობას, თუკი საქმის გარემოებების გათვალისწინებით კომპანია შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც აქციონერის მეორე მე (alter ago). სასამართლო, დასახელებულ საკითხს განიხილავს ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, გარემოების გათვალისწინებით case – by – case.

პირველი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელმაც საფუძველი დაუდო alter ago დოქტრინას, მიღებული იქნა 1921 წელს კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს *Minifie v. Rowley* საქმეზე, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანიის დამოუკიდებელი, აქციონერისაგან განცალკავებული პასუხისმგებლობის არსებობა საკანონმდებლო პრივილეგიას წარმოადგენს, შესაბამისად იგი გამოყენებული უნდა იქნეს ლეგიტიმური ბიზნეს მიზნებისათვის და არავის უნდა ჰქონდეს საშუალება შეზღუდული პასუხისმგებლობა ბოროტად გამოიყენოს.

გერმანული კანონმდებლობა ფრთხილად ეკიდება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებას, რისი ნათელი მაგალითიცაა გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ტრიოტელის საქმეზე. სასამართლო მიუთითებს, რომ პარტნიორს არ შეიძლება წაერთვას შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის გამოყენების უფლება ყველა შესაძლო გადაცდომისა და არასწორი ქმედებისას. ვინაიდან, ასეთი შეუზღუდავი პასუხისმგებლობა შეიცავს საფრთხეს, რომ ბევრ შემთხვევაში მიზანშეუწონლად იქნება გამოყენებული და ნიადაგს გამოაცლის შპს-ის სამართლებრივ ფორმას, კანონმდებლის ნების საწინააღმდეგოდ (BGH *Triotel*, DStR 2007, 1586 ff).

როგორც 2001 წელს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განმარტა, იმისთვის, რომ ისარგებლონ კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის ხასიათით, აქციონერებმა არ უნდა გამოაცალონ კომპანიას აქტივი, რაც მას სჭირდება, რომ შეძლოს საკუთარი ვალდებულებების შესრულება კრედიტორთა მიმართ (*Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen*, April 28, 2008, BGHZ, 176, 204, Oktober 12, 2007, BGHZ, 175,12). ხოლო თუკი აქციონერების მიერ დაირღვევა ეს ვალდებულება, ჩაითვლება, რომ მათ ბოროტად გამოიყენეს კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა (*Meister, Heidenhain, Rosengarten, The German Limited Liability Company*, 7th Ed, Verlag C.H. Beck, munchen, 2010, 48).

განსხვავებული სიტუაციაა ამ მხრივ დიდ ბრიტანეთში, სადაც „კორპორაციული ფარდის აწევას“ უფრო მასიაური ხასიათი აქვს. ეს შეიძლება მოხდეს როგორც კანონით, ისე საერთო სამართლით, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების უფრო ფართო განმარტების შესაძლებლობას იძლევა, ვინაიდან მოსამართლეები გაცილებით მეტი დისკრეციით სარგებლობენ, ვიდრე კონტინენტური სისტემის ქვეყნებში და

შეუძლიათ მოახდინონ ნორმის ფართო ინტერპრეტაცია. თუმცა, რა თქმა უნდა დიდ ბრიტანეთშიც სასამართლოები ცდილობენ იპოვონ შუალედი და დააბალანსონ კრედიტორებისა და ინვესტორების ინტერესები.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ შეძლო მისთვის მინიჭებული დისპოზიციური და შეჯიბრებითობის უფლების სრულად რეალიზება, ვერ მიუთითა იმ სახის სარწმუნო ფაქტობრივ გარემოებებზე და ვერ განახორციელა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის ზიდვა, რაც სასარჩელო მოთხოვნის წარმატებულობას განაპირობებდა, ხოლო კონკრეტული ფაქტების მითითებისა და მტკიცებულების წარმოდგენის ეფექტურობაზე სარჩელის წარმატებულობის კუთხით სასამართლომ უკვე ისაუბრა წინა პუნქტში და აქ აღარ გაიმეორებს.

6.6. „jura novit curia” პრინციპიდან გამომდინარე სასამართლო ვალდებულია მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები შეამოწმოს ყველა მოქმედ დამფუძნებელ ნორმებთან კავშირში. შესაბამისად, დამატებით უნდა ითქვას, რომ ას-1158-1104-2014 და ას-1307-1245-2014 საქმის ფარგლებში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არ შეიძლება გაზიარებულ იქნას კასატორის - სსიპ შ-----ს მოსაზრება და სააკელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სსიპ შემოსავლების მოთხოვნა კ.-ის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა დარეგულირდეს კრედიტორების (მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც საგადასახადო ვალდებულების კრედიტორის) წინაშე კ.-ის ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის თაობაზე „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით”.

ამდენად, სასამართლო, მოცემული დავის ფარგლებში წარმოშობილ სადავო საკითხს სხვა დამფუძნებელ ნორმებთან კავშირში არ განიხილავს.

7. საპროცესო ხარჯები

7.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც

მოსარჩელეს უარი ეთქვა.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ „შ-----ს“ სარჩელი დ-----ს მიმართ არ დაკმაყოფილდა. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ შ-----სათვის გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ დაეკისრება.

8. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები

8.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 05 მარტის განჩინებით, დაკმაყოფილდა სსიპ შ-----ს შუამდგომლობა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე დ-----ს აეკრძალა უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ფ-----, ს/კ 0-----, გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 243-244-ე, 248-249-ე, 257-ე, 259¹-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით

გადაწყვიტა

1. სსიპ შ-----ს სარჩელი (ს/ნ 2-----) დ-----ს (პ/ნ 0-----) მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 05 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც დ-----ს აეკრძალა უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მიკრო/რაიონი, V კვარტალი, მე-5 კორპუსი, ს/კ 0----- გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით;
4. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება

გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე:

თამარ ბურჯანაძე